საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში განხორციელებული მნიშვნელოვანი აქტივობები 2021 წელი

საოპერაციო შესაძლებლობების განვითარება

- **ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება**
  - ✓ ექსპლუატაციაში შევიდა თანამედროვე სტანდარტების სახანძრო-სამაშველო განყოფილება მარტვილში, წალენჯიხასა და ჩოხატაურში;
  - ✓ დაიწყო ახალი სახანძრო-სამაშველო განყოფილებების სამშენებლო სამუშაოები კასპსა და ხულოში;
  - ✓ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ოპერატიული მართვის ცენტრი (call Centre) განთავსდა ახალ, თანამედროვე აპარატურით აღჭურვილ შენობაში;
  - ✓ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის განსაკუთრებულ სიტუაციებზე რეაგირების მთავარი სამმართველოს ბაზის ტერიტორიაზე დასრულდა სიმულაციური საწვრთნელი ოთახისა და საცოცი კედლის მშენებლობა.

- **ავტოპარკის განახლება**

  - ✓ იაპონიის მთავრობის გრასრუტისა და ადამიანის უსაფრთხოების საგრანტო დახმარების (GGP) პროგრამის ფარგლებში, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს გადმოეცა 141 268 აშშ დოლარის ღირებულების ერთი ერთეული სახანძრო ავტო-კიბე, რომელიც გადაეცა ქალაქ ბათუმს მაღალსართულიან შენობებში სახანძრო-სამაშველო ოპერაციების განხორციელებისათვის.
  - ✓ შს სამინისტროდან საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის გადმოეცა 3 (სამი) ერთეული „Ford"-ის მარკის პიკაპის ტიპის, მაღალი გამავლობის ა/სატრანსპორტო საშუალება, 5 (ხუთი) ერთეული „MITSUBISHI"-ის მარკის პიკაპის ტიპის, მაღალი გამავლობის ა/სატრანსპორტო საშუალება და „Skoda"-ს მარკის 1 ერთეული მსუბუქი ავტომანქანა.

- **მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება**

  - ✓ მეხანძრე-მაშველთათვის შესყიდულ იქნა 4100 კომპლექტი ყოველდღიური ფორმა; 1000 კომპლექტი სპეციალური ფორმის ტანსაცმელი (ცეცხლგამძლე); 1720 ყოველდღიური ზამთრის ფორმის ტანსაცმელი და წყალზე სამაშველო საქმიანობისათვის 1480 კომპლექტი ფორმის ტანსაცმელი. ოპერატორებისათვის შესყიდულ იქნა 850 ცალი მაისური;
  - ✓ მყვინთავებისთვის შესყიდულ იქნა დამხმარე მაღალი წნევის ბალონები და სხვადასხვა ტიპის წყალზე სამაშველო აღჭურვილობა;

- ✓ შესყიდულ იქნა სხვადასხვა სახის კომპიუტერული ტექნიკა: ინტერაქტიული ეკრანი, ნოუთბუქი, ვიდეოკამერა, ოპერატიული მართვის ცენტრი (Call Centre) აღიჭურვა ახალი კომპიუტერული ტექნიკითა და კედლის მონიტორით.
- ✓ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ზედამხედველობის დეპარტამენტისათვის შესყიდულ იქნა 210 კომპლექტი უნიფორმები და სამხრე კამერები.

სამართლებრივი ბაზის სრულყოფა

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ მიღებულ იქნა ქვემოთ ჩამოთვლილი სამართლებრივი აქტები, რაც ხელს შეუწყობს და გაზრდის მასზე დაკისრებული ფუნქციების ეფექტიანად განხორციელების შესაძლებლობას:

- **„მუნიციპალიტეტის უსაფრთხოების პასპორტის შემუშავების წესის დამტკიცების შესახებ“** საქართველოს მთავრობის 2021 წლის 04 თებერვლის №48 დადგენილება რაც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტებში საგანგებო სიტუაციის რისკის ხარისხის განსაზღვრასა და მის შემცირებას. აღნიშნული დადგენილებით განსაზღვრული ღონისძიებების შესრულებით შესაძლებელი გახდება როგორც სამომავლოდ განსახორციელებელი ღონისძიებების დაგეგმვა, ასევე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მომხდარი საგანგებო სიტუაციისას განხორციელებული რეაგირების ღონისძიებების ეფექტურობის შეფასება.

- **„ხანძრის ჩაქრობისა და საავარიო-სამაშველო სამუშაოების/სამაშველო სამუშაოების ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“** საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2021 წლის 31 დეკემბრის N85 ბრძანება - აღნიშნული აქტით რეგულირდება საგან¬გ¬ებო სიტუ¬აციე-ბის მართვის სამსახურის სახანძრო-სამაშველო/სამაშველო დანაყოფების, ხანძრის ჩაქრობისა და საავარიო-სამაშველო სამუშაოებში/სამაშველო სამუშაოებში დადგენილი წესით ჩაბმული სხვა რეაგირების ძალების, ასევე კერძო სახანძრო-სამაშველო დანაყოფების მიერ ხანძრის ჩაქრობისა და საავარიო-სამაშველო სამუშ-აოების/სამაშველო სამუშაოების ჩატარების პირობები და პროცედურები.

- **„საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სახანძრო-სამაშველო დანაყოფის საქმიანობის ორგანიზების წესის**

დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2021 წლის 31 დეკემბრის N88 ბრძანება - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სახანძრო-სამაშველო/სამაშველო დანაყოფის საქმიანობის ორგანიზების წესის მიზანია სახანძრო-სამაშველო დანაყოფის შემადგენლობის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველსაყოფად სხვადასხვა ტიპის ზოგადი პრინციპებისა და სისტემური მოთხოვნების დადგენა.

- **„საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მეხანძრე-მაშველის სარგებლობაში არსებული სახანძრო-სამაშველო აღჭურვილობის ნუსხის დამტკიცების შესახებ“** საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2021 წლის 31 დეკემბრის N86 ბრძანება - აღნიშნული ბრძანებით დამტკიცებული ნუსხით განისაზღვრება მეხანძრე-მაშველის სარგებლობაში არსებული იმ აღჭურვ¬ილობის ჩამონათვალი (ნუსხა), რომელიც აუცილებელია ხანძრის ჩაქრობის და საავარიო-სამაშველო სამუშაოების/სამაშველო სამუშაოების ჩატარებისათვის. აღნიშნული ბრძანების მიღების მიზანს წარმოადგენს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მეხანძრე-მაშველისათვის, სამსახურებრივი მოვალეობის შესასრულებლად, საჭირო სახანძრო-სამაშველო აღჭურვილობის განსაზღვრა.

- **„საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მოსამსახურეთა ეთიკის კოდექსის დამტკიცების შესახებ“** საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2021 წლის 31 დეკემბრის N87 ბრძანება - აღნიშნული აქტი განსაზღვრავს სამსახურის მოსამსახურეთა საქმიანობის ზოგად პრინციპებს, ქცევის ზოგად წესებს/ინსტრუქციას, მოსამსახურის საზოგადოებასთან და კოლეგებთან ურთიერთობის საკითხებს, პასუხისმგებლობას ეთიკის კოდექსის დარღვევისათვის.

სამოქალაქო უსაფრთხოების სისტემის განვითარება

- ✓ საანგარიშო პერიოდში ორგანიზება გაუკეთდა ორგანიზაციების სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში უფლებამოსილ პირთა საკონსულტაციო შეხვედრებს საგანგებო მართვის გეგმების მომზადების საკითხებზე.
- ✓ გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP), კლიმატის მწვანე ფონდის (GCF) ფინანსური მხარდაჭერით, კლიმატის რისკის ინტეგრირებული მართვის (CRM) პროექტის ფარგლებში, თელავის მუნიციპალიტეტის სამსახურების უფროსებისათვის ჩატარდა ხუთდღიანი სწავლება მუნიციპალური საგანგებო მართვის გეგმების შემუშავების საკითხებზე.
- ✓ სამოქალაქო უსაფრთხოების დეპარტამენტის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს მოსახლეობის სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში ცნობიერების ამაღლების არაერთ ღონისძიებაში;
- ✓ სამოქალაქო უსაფრთხოების დეპარტამენტის თანამშრომლები მონაწილეობდნენ ევროკავშირის მიერ დაფინანსებული აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების ბუნებრივი და ტექნოგენური კატასტროფების პრევენციის, მზადყოფნის და რეაგირების პროგრამის (PPRD East-3) ფარგლებში ორგანიზებულ ღონისძიებებში;
- ✓ სამოქალაქო უსაფრთხოების დეპარტამენტის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა სწავლებებში, ვარჯიშებში, სემინარებსა და სამუშაო შეხვედრებში.

სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტო

NATO-ს პროფესიული განვითარების პროგრამის ფარგლებში, ინგლისელი ექსპერტის მონაწილეობით, მიმდინარეობდა მუშაობა სახელმწიფო რეზერვების განვითარების ხედვის შემუშავებისა და შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელების მიზნით. არსებული გამოწვევების გათვალისწინებით, სააგენტომ შეიმუშავა სახელმწიფო რეზერვების ხედვის დოკუმენტი, რომელიც ექსპერტიზისათვის გაგზავნილია შესაბამის უწყებებში.

სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში სახელმწიფო მომსახურების ხარისხის გაუმოჯობესებისა და ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით შემუშავებულია „სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში გასაწევი სახელმწიფო მომსახურების სახეებისა და საფასურის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი, რომელიც ექსპერტიზისათვის გაგზავნილია შესაბამის უწყებებში.
2021 წლის განმავლობაში სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოს მიერ გაფორმდა 1121 ხელშეკრულება

საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარება

სამსახურის ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარების მიზნით, დონორ ორგანიზაციებსა და პარტნიორ ქვეყნებთან თანამშრომლობის ფარგლებში, 2021 წელს საერთაშორისო ურთიერთობების სამმართველოს მიერ განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

- ✓ ევროკავშირის პროგრამა - EU4 Security, Accountability and Fight against Crime in Georgia (SAFE) ფარგლებში, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურისთვის გამოყოფილია 600 000 ევროს ოდენობის ბიუჯეტი, რომელიც უნდა მოხმარდეს სამოქალაქო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის შესაძლებლობების განვითარებას. კატასტროფებისადმი მზადყოფნისა და საგანგებო რეაგირების გაუმჯობესების მიზნით, პროექტის ფარგლებში, მიმდინარეობს სპეციალიზებული სახანძრო-სამაშველო აღჭურვილობის შესყიდვა (კვადროციკლები, დრონები, სამთო აღჭურვილობა, მსხვერპლის საძიებო აღჭურვილობა), რაც მნიშვნელოვნად განაახლებს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ტექნიკურ ბაზას. ტექნიკურ-მატერიალური ბაზის განახლების პარალელურად, SAFE პროგრამის ფარგლებში, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური ევროკავშირისგან მიიღებს 2 600 000 ევროს ოდენობის დაფინანსებას 2022-2024 წლებში, რაც განკუთვნილი იქნება სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში ექსპერტული მხარდაჭერის მისაღებად;
- ✓ კატასტროფების რისკის მართვის სფეროში თანამშრომლობის გაღრმავების კუთხით და ევროკავშირის სამოქალაქო უსაფრთხოების მექანიზმთან (UCPM) ინტეგრაციის მიზნით, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური აქტიურად თანამშრომლობს ევროკომისიის სამოქალაქო უსაფრთხოებისა და ჰუმანიტარული დახმარების გენერალურს დირექტორატთან (DG ECHO). საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის თანამშრომლების აქტიურ მონაწილეობას იღებენ UCPM-ის ეგიდით გამართულ სწავლებებში;
- ✓ სამოქალაქო უსაფრთხოების სისტემის შესაძლებლობების ზრდისა და საგანგებო სიტუაციების მართვის სფეროში რეგიონალური თანამშრომლობის გაძლიერების მიზნით, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური მონაწილეობს აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების ბუნებრივი და ტექნოგენური კატასტროფების პრევენციის, მზადყოფნის და რეაგირების პროგრამა - PPRD East 3-ში.
- ✓ NATO EADRCC-სთან თანამშრომლობის ფარგლებში საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის თანამშრომლები ყოველწლიურად მონაწილეობას იღებენ EADRCC-ის ეგიდით გამართულ საველე-სამეთაურო სწავლებებში;
- ✓ NATO-სთან თანამშრომლობის ფარგლებში შემუშავებულია ყოველწლიური სამოქმედო გეგმისა (ANP) და SNGP-ის (Substantial NATO Georgia Package) სამოქმედო გეგმები; SNGP კრიზისების მართვის ინიციატივის ფარგლებში, დანიის საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს მხარდაჭერით, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური,

ეროვნული უსაფრთხოების საბჭოსა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთან ერთად აქტიურად არის ჩართული კრიზისულ სიტუაციებზე რეაგირებისა და ეროვნული მდგრადობის გაძლიერების აქტივობებში. ინიციატივის ერთ-ერთ მთავარ კომპონენტს ასევე წარმოადგენს სამოქალაქო-სამხედრო თანამშრომლობის განვითარება. ამ მიზნით, სიტუაციების მართვის სამსახურის 11 თანამშრომელმა, თავდაცვის ძალების ეროვნულ გვარდიასთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით გათვალისწინებული ღონისძიებების ფარგლებში, კრიზისებზე რეაგირების ინსტრუქტორთა მოსამზადებელი სწავლება გაიარა.

- ✓ UNDP პროგრამა "კლიმატის ცვლილებით გამოწვეული კატასტროფების რისკის შემცირება საქართველოში" ფარგლებში, დაიწყო აქტიური თანამშრომლობა მრავალმხრივი საფრთხეების რისკის მონაცემთა ბაზის დამუშავებისა და მუნიციპალურ დონეზე სწავლებების დაგეგმვა/განხორციელების კუთხით. 2021 წელს დამტკიცდა 144 640 დოლარის ღირებულების გრანტი, რომელიც 4 სამიზნე მუნიციპალიტეტში საგანგებო მართვის გეგმების შემუშავების აქტივობებს მოხმარდება.
- ✓ სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების ეგიდით გამართულ სასწავლო კურსებში, მათ შორის ონლაინ ფორმატით გამართულ სწავლებებსა და სემინარებში გადამზადდა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის 155 თანამშრომელი.

➢ **ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან ორმხრივი თანამშრომლობის ფარგლებში, განხორციელდა და მიმდინარეობს შემდეგი სახის პროექტები:**

- ✓ ესტონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროსა და ბორჯომის განვითარების ჯგუფთან თანამშრომლობის ფარგლებში, ბორჯომის ტყის ხანძრების პრევენციისთვის და კრიზისზე ეფექტური რეაგირებისთვის, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურისთვის 2021 წელს შესყიდულ იქნა 2 ერთეული კვადროციკლი და სამაშველო აღჭურვილობა;
- ✓ საქართველოში პოლონეთის რესპუბლიკის საელჩოსა და Polish Aid-თან არსებული თანამშრომლობის ფარგლებში, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს 2021 წელს დაუმტკიცდა და განხორციელდა საგრანტო პროექტი სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში ცნობიერების ამაღლების კუთხით. დაიბეჭდა და დარიგდა 2100 საინფორმაციო ბუკლეტი, დამონტაჟდა 40 საინფორმაციო ბანერი კახეთსა და სამცხე-ჯავახეთში, ჩატარდა ცნობიერების ამაღლების 8 სატელევიზიო გადაცემა, ცნობიერების ასამაღლებელი შეხვედრები მოეწყო თბილისის 4 საჯარო სკოლაში.
- ✓ ქ. ვარშავის სახანძრო სამსახურის მთავარ სკოლასთან არსებული თანამშრომლობის ფარგლებში, პირველადი მორეაგირეებისთვის სტანდარტიზებული ტრენინგ კურსებისა და სიმულაციური სწავლებების უზრუნველყოფის მიზნით, პოლონური მხარის მიერ, საგრანტო ხელშეკრულების ფარგლებში, 2021 წლისთვის შესყიდულ იქნა სახანძრო-სამაშველო სპეციალური აღჭურვილობა.

- ✓ საქართველოში პოლონეთის რესპუბლიკის საელჩოსა და Polish Aid-თან არსებული თანამშრომლობის ფარგლებში, 2021 წელს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს დაუმტკიცდა სამწლიანი ექსპერტული დახმარების პროექტი სახელწოდებით „სამაშველო ძალების ქსელის ანალიზი და განვითარება საქართველოს კრიზისების მართვის სფეროში“.
- ✓ ავსტრიის განვითარების სააგენტოსა და საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს შორის გაფორმებული საგრანტო ხელშეკრულების საფუძველზე, სახანძრო სამაშველო ძალების დეპარტამენტის განსაკუთრებულ სიტუაციებზე რეაგირების მთავარი სამმართველოს სამთო მაშველებისთვის 2021 წელს შესყიდულ იქნა სპეციალური სამთო აღჭურვილობა.

- **თანამშრომლობა იაპონიასთან**
  - ✓ დამტკიცდა 97 633 აშშ დოლარის ღირებულების გრანტი, რომლის საფუძველზე ლაგოდეხის მუნიციპალიტეტს გადაეცემა სახანძრო მანქანა როგორც ურბანული ასევე, ტყის ხანძრებთან ბრძოლის მიზნით.
  - ✓ დამტკიცდა 135 000 აშშ დოლარის ღირებულების გრანტი, რომლის საფუძველზეც ქ. ქუთაისისთვის შესყიდული იქნება ერთი ერთეული სახანძრო ავტო-კიბე მაღალსართულიან შენობებში სამაშველო ოპერაციების განხორციელებისათვის.

- **აშშ-სთან თანამშრომლობა**
  - ✓ აშშ-ის თავდაცვის თანამშრომლობის ოფისთან (US ODC) გაფორმებული საგრანტო ხელშეკრულების ფარგლებში, პირველადი მორეაგირეებისთვის სტანდარტიზებული ტრენინგ კურსების უზრუნველყოფის მიზნით, 2021 წელს ODC-ის მიერ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს გადაეცა სპეციალური სასწავლო აღჭურვილობა. პროექტის ბიუჯეტი:178 000 ევრო;
  - ✓ აშშ-ს თავდაცვის თანამშრომლობის ოფისთან (US ODC) თანამშრომლობის ფარგლებში, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს დაუმტკიცდა 305 000 დოლარის ღირებულების პროექტი ტყის ხანძრებთან ბრძოლის წინააღმდეგ. პროექტის განხორციელება დაიწყება 2022 წელს.
  - ✓ ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის თანამშრომლობის ოფისთან (US ODC) თანამშრომლობის ფარგლებში, 2021 წლის ივლისის თვეში ამერიკულმა მხარემ უზრუნველყო წყალზე სამაშველო აღჭურვილობის შესყიდვა.
  - ✓ ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული (ქბრბ) საფრთხეების შემცირების, კონტროლისა და მასთან ბრძოლაში ხელშეწყობის მიზნით, US DTRA 2022 წლის I კვარტალში საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს გადასცემს მასობრივი დეკონტამინაციის სრულ აღჭურვილობას. პროექტის ღირებულება 912 000 დოლარი.

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა

- ✓ საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის ელექტრონული სისტემის ფუნქციონალის განვითარების სამუშაოები;
- ✓ საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა ინტერაქტიულ რუკის (maps.es.gov.ge) ფუნქციონალის დახვეწა/განვითარების სამუშაოები:
- ✓ შეიქმნა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის შიდა მოხმარების ზოგადი საინფორმაციო პორტალი, რომელიც თავის თავში აერთიანებს სამსახურის თანამშრომლებისათვის საჭირო სხვადასხვა ელექტრონულ სერვისს;
- ✓ შემუშავებულ სახანძრო და სამაშველო ოპერაციების მართვის საინფორმაციო სისტემის (eFris) პლატფორმაზე შემუშავდა საგანგებო სიტუაციების/ ინციდენტების აღრიცხვისა და სტატისტიკის მოდული.
- ✓ საანგარიშო პერიოდში შემუშავებულია სახანძრო-სამაშველო ტერიტორიული დანაყოფების რეაგირების ძალების რიცხოვნებისა და ტექნიკური აღჭურვილობის განსაზღვრის მოდულის სატესტო ვერსია.

სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში მოხალისეობის ინსტიტუტის განვითარება

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური ახორციელებს პროექტს „მოხალისე“, რომელიც გულისხმობს მოხალისეების მოზიდვასა და ჩართვას, როგორც საგანგებო სიტუაციების რეაგირების სამუშაოებში, ასევე მზადყოფნის, პრევენციისა და აღდგენის დონეზე განხორციელებულ საქმიანობაში. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური და საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება ახორციელებენ ერთობლივ პროექტს, სახელწოდებით „სამოქალაქო დაცვის სისტემის გაძლიერება მოხალისეთა შესაძლებლობების გაძლიერების გზით“. 2021 წელს მხარეებს შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში, შემუშავდა მოხალისეთა განვითარების გეგმა და ხელი მოეწერა თანამშრომლობის მოდელს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურსა და წითელ ჯვარს შორის. თანამშრომლობის მოდელის ფარგლებში, ბორჯომსა და ახალციხეში შეიქმნა საერთო მოხალისეთა ჯგუფი, რომელიც დაკომპლექტებულია წითელი ჯვრის საზოგადოებისა და საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ ერთობლივად. მათ უკვე ჩაუტარდათ თეორიული მეცადინეობები. უახლოეს მომავალში იგეგმება პრაქტიკული სწავლებების დაგეგმვა.

აგრეთვე, ავსტრიის წითელი ჯვარი, 2-წლიანი პროექტის ფარგლებში, ქართულ მხარეს მოხალისეების მოზიდვასა და გადამზადებაში დაეხმარება.